



სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

6 დეკემბერი 2024

ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 184

სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
სამეცნიერო კომიტეტისა (SC) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების დამტკიცების
შესახებ

„სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს
სამეცნიერო კომიტეტისა (SC) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 11 დეკემბრის N132/ნ ბრძანებით
დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის,
„სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამეცნიერო
კომიტეტისა (SC) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო
დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 10 სექტემბრის N133 ბრძანებით
დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-5 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის „საჯარო სამართლის იურიდიული
პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი
წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28
ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის
საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო
ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1572653,
06.12.2024) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სომხეთის რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისა (SC) და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს

ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები:

2.

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური/project title m
1	SC-24-763	სამხრეთ კავკასიის მაღალმთიან მტკნარი წყლის ტბებში ციანობაქტერიების და ციანოფაგების მრავალფეროვნების შესწავლა და მათი პოტენციური გავლენა ციანობაქტერიების მავნე ყვავილობაზე / Study of cyanobacteria and cyanophage diversity in high altitude South Caucasian freshwater lakes and their potential impact on the cyanobacterial harmful bloom
2	SC-24-753	მანქანური სწავლების თეორია და კონვერგირებული გამოყენების შემთხვევები / Machine Learning Theory and Converging Use Cases
3	SC-24-248	მიგრაციები და ახალი ეთნიკური დიასპორების ფორმირება (შედარებითი კვლევა საქართველოსა და სომხეთში) / Migrations and the formation of new ethnic diasporas (a comparative study in Georgia and Armenia)

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2024 წლის 11 დეკემბრის 18:00 საათისა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდში (შემდგომში - ფონდი) უნდა წარმოადგინონ საბანკო ანგარიშის ნომერი და ცნობა ბანკიდან იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ანგარიშს არ ერიცხება სარგებელი.
4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2024 წლის 25 დეკემბრისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი